

საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (სსმ,-
შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 210-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგ
რედაქციით:

„2. სასამართლოს სხდომის მდივანი მოახსენებს სასამართლო
თუ განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდ
ჩაჰბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები 70-78
მუხლებით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათ
გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სასამართლო ადგენ
გამოცხადებულთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენელთა
უფლებამოსილებას, აგრეთვე აფრთხილებს პროცესის მონაწილედ
და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნი
მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო
სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებებ
თაობაზე. ამის შემდეგ მოწვეები ტოვებენ სხდომის დარბაზს.“.

2. 212-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 212. ღონისძიებანი სასამართლოს სხდომაზე წესრიგ
დამრღვევის მიმართ

1. საქმის განხილვისას წესრიგის დამრღვევ პირს სხდომ
თავმჯდომარე (მოსამართლე) აძლევს გაფრთხილებას.

2. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევისას, სხდომ
თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისად
დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს უპატივცემულობ
შემთხვევაში, პროცესის მონაწილეს და/ან სხდომაზე დამსწრ
სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით აძვევბ
სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, რაც არ აბრკოლებს საქმ
განხილვა-გადაწყვეტას.

3. პროცესის მონაწილე და/ან სხდომაზე დამსწრე, რომელმა
განმეორებით დაარღვია წესრიგი, შეიძლება სხდომის დარბაზიდ
გაძვევებულ იქნას სხდომის თავმჯდომარის ან მოსამართლ
განკარგულებით, რაც არ აბრკოლებს საქმის განხილვა-გადაწყვეტა

4. სასამართლოს სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მა
შორის გაძვევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლი
განკარგულებით, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამ
ოდენობით, რაზეც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. სხდომ

თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია, წესრიგის დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით დადგენილ ფარგლებში.

5. თუ სასამართლოს მიმართ გამოხატულია აშკარა და უხეში უპატივცემულობა, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია გამოიტანოს განკარგულება პირის 30 დღე-დამემდეგ ვადით დაპატიმრების შესახებ. განკარგულება აღსრულდება დაუყოვნებლივ, რაც არ დააბრკოლებს საქმის განხილვა-გადაწყვეტას.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება მიიღება ადგილზე თათბირით.“.

3. 310-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს „ე“ ქვეპუნქტი.

4. ამოღებულ იქნეს XLI თავი.

5. 417-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 417. სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის მიღება და განხილვა. საქმის მასალების წარდგენა ზემდგომ სასამართლოში

1. კერძო საჩივრის წარმოებაში მიღება სასამართლოს მიერ ხდება იმ სასამართლოსათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, რომელშიც შეტანილია კერძო საჩივარი.

2. თუ სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.“.

6. 419-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განჩინება მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას.“.

7. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 443-ე მუხლი:

„მუხლი 443. სააპელაციო საჩივრის განხილვა ერთპიროვნულად 2006 წლის 1 ივნისამდე შეტანილი სააპელაციო საჩივარი ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ საქმეებზე, ასევე ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს განიხილება ერთპიროვნულად სააპელაციო (საოლქო) სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის მიერ.“.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი